ძირითადი კურსი

21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები[1]

სწავლისა და გამომგონებლობის უნარ-ჩვევები

შემოქმედებითობა და გამომგონებლობა

- მუშაობის ორიგინალობისა და გამომგონებლობის დემონსტრირება;
- ახალი იდეების განვითარება, განხორციელება და სხვებისთვის გაზიარება;
- ახალი და მრავალფეროვანი პერსპექტივებისთვის ღიაობა და მზაობა;
- შემოქმედებითი იდეების პრაქტიკული გამოცდა ინოვაციურ სფეროში, მასში ეფექტური და რეალური წვლილის შესატანად.

კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა

- საღი მსჯელობა და აღქმა;
- რთული არჩევანის გაკეთება და გადაწყვეტილებების მიღება;
- სხვადასხვა სისტემას შორის ურთიერთდამოკიდებულების გააზრება;
- მიზნობრივი კითხვების ფორმულირება და დასმა სხვადასხვა მოსაზრების გასაცნობად და უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ინფორმაციის კლასიფიკაცია, ანალიზი და სინთეზირება პრობლემების გადასაჭრელად და კითხვებზე პასუხების გასაცემად.

კომუნიკაცია და თანამშრომლობა

- იდეებისა და აზრის ნათლად და ეფექტურად გამოხატვა წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით;
- სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტური მუშაობის უნარის დემონსტრირება;
- საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო კომპრომისისთვის მზადყოფნისა და მოქნილობის დემონსტრირება;
- პასუხისმგებლობების გაზიარება მუშაობის პროცესში.

საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები

საინფორმაციო წიგნიერება

- ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვება, კრიტიკული და კომპეტენტური შეფასება, ინფორმაციის ზუსტად და შემოქმედებითად გამოყენება მოცემულ საკითხთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით;
- ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გამოყენების ეთიკური და სამართლებრივი საკითხების საფუძვლიანი ცოდნა.

მედიაწიგნიერება

- მედიაგზავნილების შექმნის, მათი მიზნობრიობის, გამოყენებული ინსტრუმენტების, მახასიათებლებისა და კონვენციების ცოდნა;
- მესიჯების ინდივიდუალურ დონეზე ინტერპრეტაციას/გაგებას შორის განსხვავებების, მედიაგზავნილებში ღირებულებებისა და მოსაზრებების გათვალისწინების ან უგულებელყოფის და რწმენაზე თუ ქცევაზე მედიის გავლენის საკითხების შესწავლა და ანალიზი;
- ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გამოყენების ეთიკური და სამართლებრივი საკითხების საფუძვლიანი ცოდნა.

ციფრული წიგნიერება

- ციფრული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და/ან ქსელების შესატყვისი გამოყენება ინფორმაციაზე წვდომის, მისი მართვის, ინტეგრაციის, შეფასებისა და შექმნისათვის გენერირება ცოდნის ეკონომიკაში ფუნქციონირების მიზნით;
- ტექნოლოგიის გამოყენება, როგორც ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და კომუნიკაციის საშუალების.

[1] წყარო: პარტნიორობა 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებისთვის www.21stcenturyskills.org. მასალის გამოყენების უფლება მიღებულია.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. საავტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში.
* სხვა სახელსა და ბრენდზე შეიძლება გავრცელდეს სხვა კომპანიის საკუთრების უფლება

ძირითადი კურსი

- ინფორმაციაზე წვდომისა და მისი გამოყენების ეთიკური და სამართლებრივი საკითხების საფუძვლიანი ცოდნა.

სასიცოცხლო და კარიერული უნარ-ჩვევები

მოქნილობა და ადაპტაცია

- განსხვავებულ როლებსა და პასუხისმგებლობებთან ადაპტაცია;
- გაურკვეველ სიტუაციებსა და პრიორიტეტების ცვლილების გარემოში ეფექტურად მუშაობა.

ინიციატივა და დამოუკიდებელი მუშაობა

- საკუთარი სასწავლო საჭიროებებისა და წარმოდგენების მონიტორინგი;
- უნარ-ჩვევების განსაზღვრული დონის და/ან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ჩარჩოს მიღმა სამუშაოს ჩატარება, ცოდნისა და კომპეტენტურობის ამაღლების მიზნით;
- ინიციატივის გამოჩენა, უნარ-ჩვევების პროფესიულ დონეზე დახვეწის მიზნით;
- დავალებების განსაზღვრა, პრიორიტეტების მინიჭება და შესრულება პირდაპირი ზედამხედველობის გარეშე;
- დროის და სამუშაო დატვირთვის ეფექტური განკარგვა;
- უწყვეტი განათლებისთვის მზაობის დემონსტრირება.

სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევები

- ადეკვატურად და პროდუქტიულად თანამშრომლობა;
- მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების საჭიროებისამებრ დაბალანსება სხვადასხვა ჯგუფთან ერთობლივი მუშაობისას;
- კულტურული განსხვავებების გათვალისწინება და სხვადასხვა პერსპექტივის გამოყენება შემოქმედებითობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

პროდუქტიულობა და ანგარიშვალდებულება

- მაღალი სტანდარტებისა და მიზნების განსაზღვრა და უზრუნველყოფა სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის;
- გულმოდგინებისა და პოზიტიური სამუშაო ეთიკის დემონსტრირება (მაგალითად, პუნქტუალობა და სანდოობა).

ლიდერობა და პასუხიმგებლობა

- ინტერპერსონალური და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამოყენება ჩართული მხარეების მიერ მიზნების მისაღწევად;
- ჩართული მხარების ძლიერი თვისებების/უნარების გამოყენება საერთო მიზნის მისაღწევად;
- ერთიანობისა და ეფექტური ქცევის დემონსტრირება; ჯგუფთან სამოგზაურო ინტერესების გამჟღავნება, პასუხისმგებლიანი მოქმედება.

ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2011 წელი. სააგტორო უფლებები ვრცელდება ინტელზე, ინტელის ლოგოზე, ინტელის საგანმანათლებლო ინიციატივაზე, ინტელის სასწავლო პროგრამაზე ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში.
* სხვა სახელსა და ბრენდზე შეიძლება გავრცელდეს სხვა კომპანიის საკუთრების უფლება